



საქმე №1/გ-621



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის განხილვის შესახებ

01 ივლისი, 2014 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ბადრიაშვილმა
ქეთევან მინდიაშვილის მდივნობით,

პროკურორის - **ი. ჩ.-ს**,
ადვოკატის - **თ. ა.-ს**,
ბრალდებულის - **ნ. შ.-ს**

მონაწილეობით, ღია სასამართლო სხდომაზე, ზეპირი მოსმენით განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის - **ი. ჩ.-ს** საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევადის 2014 წლის 25 ივნისის განჩინებაზე, ბრალდებულ **ნ. შ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს ნაცვლად პატიმრობის გამოყენების შესახებ,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :
აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი იძიებს სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმეს **ნ. შ.-ს** მიმართ, ნარკოტიკული საშუალება კანაფის შემცველი მცენარის უკანონო დათესვისა და მოყვანის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე.

აღნიშნულ საქმეზე, 2014 წლის 24 ივნისს, **ნ. შ.-ს** წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და 265-ე მუხლის პირველი ნაწილით.



ამავე წლის 25 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა **ი. ჩ.-მ** და ითხოვა ბრალდებულ **ნ. შ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევამის 2014 წლის 25 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულ **ნ. შ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით, გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა, ხოლო გირაოს თანხის შეტანის ვადად განესაზღვრა 30 დღე.

განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა **ი. ჩ.-მ**. პროკურორი ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევამის 2014 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმებას და ბრალდებულ **ნ. შ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას.

საჩივარში აღნიშნულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენდა **ნ. შ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე; ბრალდება ეხება დანაშაულს, რისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსალოდნელი სასჯელის შიშით ბრალდებული მიემალემა გამოძიებას და სასამართლოს, რითაც ხელს შეუშლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას; ბრალდებული მის მუდმივ საცხოვრებელ სახლში, მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მთელ არსენალს, მათ შორის, ისეთ ცეცხლსასროლ იარაღებს, რომლებიც კუსტარული წესით არის გადაკეთებული და გამორიცხავს მათი შენახვის სხვა მიზანს, გარდა შესაძლო დანაშაულის ჩადენისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით დასაბუთებულია **ნ. შ.-ს** მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის ვარაუდი (იხ. საჩივარი).

პროკურორმა **ი. ჩ.-მ** ზეპირი მოსმენით საჩივრის განხილვის დროსაც მხარი დაუჭირა საჩივრის მოთხოვნას და ითხოვა მისი დაკმაყოფილება (იხ. სხდომის ოქმი).

სასამართლო სხდომაზე ბრალდებული და მისი ადვოკატი არ დაეთანხმნენ პროკურორის საჩივარს და ითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევამის 2014 წლის 25 ივნისის განჩინების ძალაში დატოვება (იხ. სხდომის ოქმი).



სამოტივაციო ნაწილი

სასამართლომ განიხილა საჩივარი, დამატებით მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, გაანალიზა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორ **ი. ჩ.-ს** საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ სრულყოფილად შეამოწმა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური (საპროცესო) და ფაქტობრივი საფუძვლები.

წარმოდგენილი მასალებიდან და საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვიდან ირკვევა, რომ **ნ. შ.-ს** დაკავების, მისთვის ბრალდების წარდგენის, აგრეთვე, მტკიცებულებათა მოპოვებისა და სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელების დროს ისეთი სახის არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ადგილი არ ქონია.

საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობა და საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვისას მხარეთა განმარტებები იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ **ნ. შ.-ს** შესაძლებელია ჩადენილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და 265-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდი არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. შესაბამისად, **ნ. შ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება სრულად შეესაბამება როგორც საპროცესო მოთხოვნებს, ისე მისი გამოყენების ფაქტობრივ საფუძვლებს.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდგომ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს. აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა - რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური ღონისძიება.



საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მიხედვით, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მტკიცებულებების მოპოვებასა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, ახალი დანაშაულის ჩადენა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები, მაგალითად, ისეთი, როგორცაა გირაო, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელს, როგორც ბრალდებულის უფლებებისა და თავისუფლების შედარებით ნაკლებად შემზღვევად ფორმას. აღნიშნულის თაობაზე ცალსახად მიუთითებს როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები. აღკვეთის ღონისძიების ფორმალური საფუძვლების არსებობა, რომ ბრალდებული არ მიიმალოს, არ გაანადგუროს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, ერთნაირად სავალდებულოა როგორც პატიმრობის, ისე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების, მათ შორის, გირაოს გამოყენების დროს. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ემსახურება აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

აღკვეთის ღონისძიების მიზნებისა და საფუძვლების შესაბამისად, გირაოს გამოყენების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2014 წლის 25 ივნისის განჩინებაში, რასაც მთლიანად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია. ნ. შ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია ითვალისწინებს წარდგენილი ბრალდების სიმძიმისა და ინკრიმინირებული ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელის ფაქტორსაც, მაგრამ მხოლოდ ბრალდების სიმძიმესა და მოსალოდნელ მკაცრ სასჯელზე მითითება ვერ გახდება ბრალდებულისთვის ყველაზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების საფუძველი. ამისათვის საჭიროა ბრალდების მხარემ სასამართლოს შეუქმნას მკაფიო, ნათელი წარმოდგენა ბრალდებულიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ და უტყუარ გარემოებებზე მითითებით დაარწმუნოს, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა მხოლოდ პატიმრობის გამოყენებითაა შესაძლებელი. ასეთი მყარი არგუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა პროკურორმა ვერც საჩივარში და ვერც საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვისას ვერ შეძლო. ბრალდების მხარის მტკიცება შემოიფარგლებოდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მხოლოდ ზოგადი საფუძვლების მოშველიებით, რაც საერთოა როგორც დაპატიმრების, ისე სხვა, უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებებისთვისაც.

საგამომიებო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსაზრებას ბრალდებულის მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის თავიდან ასაცილებლად მხოლოდ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, ვინაიდან ეს რისკები, მოცემულ შემთხვევაში, არ არის იმ



ინტენსივობით გამოვლენილი, რომ მისი გამორიცხვა შეუძლებელი იყოს ისეთი სოლიდური ოდენობის გირაოს შეფარდებით, რაც ბრალდებულის მიმართ იქნა გამოყენებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. მითუმეტეს გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება მოხდა უძრავი ქონებით - ერთადერთი საცხოვრებელი სახლით გირაოს უზრუნველყოფის გზით, რომლის ღირებულებაც მნიშვნელოვნად აჭარბებს გირაოს ოდენობას და ბრალდებულისთვის ცნობილია, რომ გირაოს გამოყენების პირობის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, თავისუფლებასთან ერთად დაკარგავს საცხოვრებელ სახლსაც, რაც მისი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუარესებს. ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების შესრულების განზრახვაზე მეტყველებს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის დროს მისი ქცევაც. მას გათვითცნობიერებული ჰქონდა დაპატიმრების შესაძლებლობა სააპელაციო სასამართლოს მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა, პუნქტუალურად გამოცხადდა პროცესზე და დადო პირობა, რომ თავს არ აარიდებს გამოძიებას, სასამართლოს და არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეზე შენარჩუნებულია ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რომლის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, მაგრამ არ არის მიზანშეწონილი მაინცდამაინც მისი დაპატიმრება. სასამართლო ეთანხმება პროკურორის მსჯელობას იმ ნაწილში, რომ, როგორც წესი, კუსტარულად გადაკეთებული გადაჭრილი თოფები და ვაზნები არ არის განკუთვნილი საკოლექციო დანიშნულებისთვის და ხშირად გამორიცხავს სხვა მიზანს, გარდა შესაძლო დანაშაულის ჩადენისა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ისინი ამოღებულია და უშუალოდ ამ საგნებით დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. სხვა საკითხია, არსებობს თუ არა დასაბუთებული ვარაუდი ზოგადად ახალი დანაშაულის ჩადენის შესახებ, რაზეც სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს, ვინაიდან ნ. შ.-მ ერთხელ უკვე ჩაიდინა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება და არც მომავალშია გამორიცხული რაიმე დანაშაულის ჩადენა. სწორედ სამომავლოდ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების აღსაკვეთად არის განკუთვნილი აღკვეთის ღონისძიება, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ მას შეუფარდა და რომელიც არანაკლებ ეფექტურად უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას, ვიდრე პატიმრობა.

საჩივრის განხილვისას ბრალდების მხარის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ბრალდებულის გირაოს ქვეშ ყოფნა ხელს შეუშლის ცეცხლსასროლი იარაღებისა და საბრძოლო მასალის წარმომავლობის საკითხის გარკვევას ან დანაშაულში შესაძლო მონაწილეთა გამოვლენას. კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება მოკლებულია საფუძველს, რადგან არ არის გამყარებული დამაჯერებელი არგუმენტებით და ატარებს მხოლოდ ზოგადი დეკლარირების სახეს. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მსგავსი დასკვნები აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს გონივრული ეჭვის შემქმნელი გარემოებებიდან, რაც საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის დროს სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა.



დასახელებულ გარემოებებთან ერთად, საგამომიებო კოლეგია ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, რომელიც არ არის ნასამართლევნი ან ადმინისტრაციულსახდელდადებული, ხასიათდება დადებითად, აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, არის ახალგაზრდა ასაკის და დებს პირობას, რომ გააგრძელებს სწავლას, დასაქმდება და აღარ დაარღვევს კანონს.

კოლეგიას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მიერ ბრალდებულისთვის განსაზღვრული ვირაოს ოდენობა არის მის მიერ ჩადენილი ქმედების, ქონებრივი მდგომარეობის და მოსალოდნელი საფრთხეების ადექვატური. ვირაო სასამართლოს მიერ შეფარდებული ოდენობით სრულად უზრუნველყოფს **ნ. შ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების მიზნების განხორციელებას და ბრალდებულის სათანადო ქცევას გამომიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარი არ არის სათანადოდ დასაბუთებული. მისი ზეპირი მოსმენით განხილვის დროს პროკურორმა ვერ დაარწმუნა სასამართლო ვირაოს გამოყენების მიზანშეუწონლობასა და პატიმრობის შეფარდების მიზანშეუწონილობაში.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20, 98-ე, 198-ე, მე-200 მუხლებით, 207-ე მუხლის მე-5-8 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის - **ი. ჩ.-ს** საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევამის 2014 წლის 25 ივნისის განჩინება ბრალდებულ **ნ. შ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით ვირაოს - 7000 (შვიდი ათასი) ლარის გამოყენების თაობაზე, **დარჩეს უცვლელად;**

განჩინება შესასრულებლად და ცნობისათვის გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე
გელა ბადრიაშვილი